



# ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობა საქართველოში



ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის - [კარგი მმართველობისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობის სტანდარტების გაუმჯობესება](#) - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია [ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის](#) მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება. ანალიზის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოსატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

# ვაქცინაციის გეგმა

საქართველოს მთავრობამ ვაქცინაციის [ეროვნული გეგმა](#) 2021 წლის 21 იანვარს წარადგინა. გეგმით განსაზღვრული ამოცანა იყო წლის ბოლომდე 18 წელს ზემოთ მოსახლეობის 60%-ის აცრა. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, თამარ გაბუნიას ინფორმაციით, ვაქცინაციის პრიორიტეტული ჯგუფები შემდეგნაირად იყო [განსაზღვრული](#):

- პირველ ეტაპზე, სამედიცინო პერსონალის 65% (46,520 მუშაკი), ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებების ბენეფიციარების 60% (1,560 მოქალაქე) და 75 წლისა და ზემოთ ასაკის მოქალაქეების 60% (136,080 მოქალაქე);
- შემდეგ ეტაპზე 65-74 წლის ასაკის მოქალაქეები (197,510).
- მესამე ეტაპზე 65-74 წლის ასაკის მოქალაქეებისათვის ძირითადი სერვისების მიმწოდებელი ჯგუფები (108,224) და 55-64 წლის ასაკის მოქალაქეები (287,040), ასევე, 18-54 წლის ქრონიკული დაავადებების მქონე პირები (53,640);
- ბოლოს, მოსახლეობის სხვა ჯგუფები (860,740 პირი).

საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წლის იანვარში დამტკიცებული ეროვნული ვაქცინაციის გეგმის თანახმად, წინასწარი შეფასებით, მთლიანად მოზრდილი მოსახლეობის 60%-ით მოსაცავად საჭირო ბიუჯეტის მინიმალური ღირებულება 64,333,622 ლარი, მაქსიმალური კი – 158,190,243 ლარი უნდა ყოფილიყო. მათ შორის, ვაქცინების შესყიდვის მინიმალურ და მაქსიმალურ ღირებულებად 48,456,260 და 141,985,429 ლარი იყო. 2021 წლის აპრილში გეგმაში ცვლილებები შევიდა, თუმცა აღნიშნული კომპონენტი უცვლელი დარჩა<sup>1</sup>.

კომპონენტის დასახელება	მხოლოდ COVAX-ით გარანტირებული დოზებით მოცვისთვის საჭირო ფინანსური რესურსი		ყველა პრიორიტეტული ჯგუფის მოსაცავად საჭირო ფინანსური რესურსი		მთლიანად მოზრდილი მოსახლეობის 60% -ით მოსაცავად საჭირო ფინანსური რესურსი*	
	მინიმ. ღირებულება (ლარი)	მაქს. ღირებულება (ლარი)	მინიმ. ღირებულება (ლარი)	მაქს. ღირებულება (ლარი)	მინიმ. ღირებულება (ლარი)	მაქს. ღირებულება (ლარი)

<sup>1</sup> გეგმაში მოცემული ფასები გაანგარიშებულია UNICEF-ის პლატფორმის მონაცემებზე დაყრდნობით.

<b>ვაქცინები</b>	18,075,539	44,767,084	23,794,534	80,906,555	48,456,260	141,985,429
<b>შპრიცები და სხვა სახარჯი მასალა</b>	1,847,586	1,847,586	2,439,291	2,566,744	4,960,082	5,087,534
<b>სერვისების მიწოდება</b>	3,208,259	3,280,891	4,457,048	4,555,951	8,834,300	9,034,300
<b>ტრენინგები</b>	24,927	24,927	24,927	24,927	34,900	34,900
<b>ვაქცინების ლოჯისტიკა/ დისტრიბუცია</b>	82,040	82,040	113,975	113,975	164,085	164,085
<b>საინფორმაციო სისტემა**</b>	60,900	60,900	84,605	84,605	167,695	167,695
<b>ვაქცინაციის პროცესზე სუპერვიზია და მონიტორინგი</b>	26,746	26,746	37,156	37,156	53,500	53,500
<b>მოთხოვნის შექმნა და კომუნიკაცია</b>	1,662,800	1,662,800	1,662,800	1,662,800	1,662,800	1,662,800
<b>სულ ბიუჯეტი</b>	<b>24,988,797</b>	<b>51,752,974</b>	<b>32,614,336</b>	<b>89,952,713</b>	<b>64,333,622</b>	<b>158,190,243</b>

თამარ გაბუნიას [ტექნოლოგიები](#), თანხებს შორის დიდი შუალედი ვაქცინის განსხვავებულ ღირებულებას უკავშირდება, რადგანაც ფასი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზით მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, განსხვავებული იყოს.

## შეფერხებული ვაქცინაციის პროცესი

საქართველოში ვაქცინაციის პროცესი 2021 წლის 15 მარტს დაიწყო. ვაქცინის შესყიდვა კოვავს პლატფორმის მეშვეობით გადაწყდა. იმის დასადგენად, თუ როდის დაიწყო საქართველომ ვაქცინის შესასყიდად ოფიციალური კომუნიკაცია, IDFI-მ როგორც ჯანდაცვის სამინისტროდან, ისე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან გამოითხოვა ოფიციალური მიმოწერის ასლები, რომლებიც ვაქცინის შესყიდვას ეხებოდა. სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია არ მოგვანოდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან [მიღებული დოკუმენტების](#) თანახმად, ცენტრთან პირველი წერილობითი კომუნიკაცია ვაქცინების თაობაზე **2020 წლის 25 ნოემბერს განხორციელდა**, ცენტრს ჯანდაცვის სამინისტროდან გაეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი, ლიეტუვას მიერ საჭიროზე მეტი ვაქცინის შესყიდვის შემდეგ, დარჩენილი დოზების შეუვცვლელი ფასით საქართველოსთვის მიყიდვის თაობაზე. 2020 წლის 30 ნოემბერისა და 8 დეკემბრის შუალედში სამინისტროსა და ცენტრს შორის მიმოწერა მიმდინარეობდა სინოვაკის შესაძლო გამოყენების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, სამინისტროს მიმართა სინოვაკის წარმომადგენელმა, ვაქცინის მახასიათებლებისა და ქვეყანაში მისი დაშვების პერსპექტივის განხილვის მიზნით. 25 დეკემბერს ცენტრმა სამინისტროს მიმართა წერილით, კოვავს პლატფორმასთან ურთიერთობისათვის საქართველოში შესაბამისი სამართლებრივი ბაზის დახვეწის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ამავე დღეს მხარეებს შორის კომუნიკაცია შედგა COVAX პლატფორმიდან მიღებული დოკუმენტაციის შევსების პროცესის მიმდინარეობაზე, რითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე პლატფორმასთან უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, თუმცა უცნობია კონკრეტულად როდის დაიწყო აღნიშნული პროცესი. მნიშვნელოვანია, რომ მიმოწერის თანახმად COVAX პლატფორმამ 23 დეკემბერს გახსნა მეორე ფანჯარა ასტრაზენეკას ვაქცინისათვის. 28 დეკემბერს ამირან გამყრელიძე წერილით მიმართავს სამინისტროს და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გასცემს რეკომენდაციას, რომ კოვავსის შემოთავაზება მისაღებია და აზუსტებს პროცედურებს საქართველოს მხრიდან თანხმობისა და უარის შემთხვევაში.

2021 წლის 08 იანვრის წერილით, რომელიც პაატა იმნაძემ ჯანდაცვის სამინისტროს მისწერა, *“მიზანშეწონილად ჩაითვალა კოვიდ ვაქცინის შესყიდვა განხორციელდეს გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით ... გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნა, რომ მიმდინარე*

ეტაზე არ არსებობს თანამშრომლობის გამოცდილება არსებული ვაქცინის მწარმოებელ კომპანიებთან და არ ვართ ინფორმირებული ბევრ დეტალზე, მათ შორის როგორცაა მოწოდების პირობები (INTERCOMS)“.



საქართველოს იურიდიული პირი ლ. საცვარელიძის სახელობის

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი  
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

National center for Disease Control & Public Health



KA030614186780021

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001  
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: [ncdc@ncdc.ge](mailto:ncdc@ncdc.ge)

#06/29

08 / იანვარი / 2021 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აღმინისტრაციის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ თინათინ ხარძიანს

ქალბატონო თინათინ,

სსიპ - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 2 დეკემბრის #01/15569 წერილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 30 ნოემბრის #01/31326 და კოვადის ინსტრუქციის და გაეროს ბავშთა ფონდის (UNICEF) ერთობლივ წერილებთან ერთად, რომელიც ეხება გაეროს ბავშთა ფონდის (UNICEF), როგორც Covid-ის ვაქცინის შესყიდვის მსაჯორდინირებელი უწყების ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრის საკითხს.

გასული წლის დეკემბერში აღნიშნული საკითხი განიხილეთ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად და გაეროს ბავშთა ფონდის (UNICEF) გამოცდილების, გამართული შესყიდვისა და ლოჯისტიკის მექანიზმის გათვალისწინებით (ცენტრი წლების მანძილზე იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ვაქცინების შესყიდვას ახორციელებს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მეშვეობით) მიზანშეწონილად ჩაითვალა Covid ვაქცინის შესყიდვა განხორციელებდეს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მეშვეობით. ასევე, აღსანიშნავია რომ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნა, რომ მიმდინარე უტაბზე არ არსებობს თანამშრომლობის გამოცდილება არსებული ვაქცინის მწარმოებელ კომპანიებთან და არ ვართ ინფორმირებული ბევრ დეტალზე, მათ შორის როგორცაა მონოდების პირობები (INCOTERMS).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოვალეობის  
შარდონიძე

ხელმოწერილია  
შტამდასახულია  
წამოტვირთულია




პაატა იშნაძე

2021 წლის იანვარში, ამირან გამყრელიძემ და ქვეყნის მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა [გააკრცელეს ინფორმაცია](#), რომ საქართველო კოვას პლატფორმის მეშვეობით ერთ-ერთი პირველი, თებერვალში მიიღებდა ფაიზერის ვაქცინებს. 14 იანვარს [გაკრცელდა ინფორმაცია](#), რომ საქართველოს უშუალოდ ფაიზერისთვის არ მიუმართავს, კოვას პლატფორმაზე კი ფაიზერის ვაქცინები არ იყო მობილიზებული. მას შემდეგ რაც თებერვალში ვაქცინები ქვეყანაში

არ შემოვიდა, ერთ-ერთმა [მედია საშუალებამ](#) კოვავს პლატფორმას განმარტებისათვის მიმართა. მათი პასუხის თანახმად, ფაიზერის ვაქცინა იმ ქვეყნებმა მიიღეს, რომლებმაც დააკმაყოფილეს პლატფორმის მოთხოვნები: „ყველა მონაწილე ქვეყნის ეროვნულმა რეგულატორმა ავტორიზება უნდა მისცეს შემოსატან ვაქცინას; ასევე, ყველა მონაწილემ ვაქცინის მწარმოებლებთან უნდა გააფორმოს ზარალის ანაზღაურების კონტრაქტი, რათა „კოვავსის პლატფორმიდან“ დოზების მიღება შეძლოს“.

საინტერესოა, რომ ბრიტანეთში ფაიზერის პირველი ვაქცინა 2020 წლის 8 დეკემბერს გამოიყენეს. ოქსფორდის Our World in Data პროექტის მონაცემებით, 2020 წლის 20 დეკემბერს ისრაელსა და ამერიკაში მოსახლეობის 0.09 და 0.17 პროცენტი იყო აცრილი. 2021 წლის 15 მარტის მდგომარეობით, საქართველოს მსგავსი შემოსავლის (GNI)<sup>2</sup> მქონე რამდენიმე ქვეყანაში<sup>3</sup> შემდეგი მდგომარეობა იყო:




9 აგვისტოს მონაცემებით, იმავე ქვეყნებს შორის აცრილი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობით საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია:

<sup>2</sup> <https://datahelpdesk.worldbank.org/knowledgebase/articles/906519-world-bank-country-and-lending-groups>

<sup>3</sup> თურქეთი, სერბეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ჩრდ. მაკედონია, ალბანეთი, კოსოვო, ბულგარეთი, ბელორუსი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მოლდოვა, სომხეთი.

## Share of people vaccinated against COVID-19, Aug 9, 2021



Source: Official data collated by Our World in Data. This data is only available for countries which report the breakdown of doses administered by first and second doses in absolute numbers. CC BY

Jan 18, 2021

Aug 9, 2021

15 მარტიდან მაისამდე საქართველოში მინიმუმ ერთი დოზით აცრილთა პროცენტული მაჩვენებელი არ უტოლდებოდა 1%-ს. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ვაქცინების რაოდენობა გაიზარდა და დასაშვები გახდა 18 წელს ზემოთ მოსახლეობის ვაქცინაცია, აცრილი მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, ივლისის თვიდან კი ვაქცინირებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა დაიწყო. კერძოდ, 15 ივლისს მოსახლეობის 4.4% ერთი დოზით მაინც იყო აცრილი (2 დოზით აცრილი - 2.9%), ეს მონაცემი 31 ივლისს 8.1%-მდე გაიზარდა (2 დოზით აცრილი - 4%). აღნიშული უკავშირდება ქვეყანაში ფაიზერის ვაქცინის მარაგების გაზრდას.

## აცრილთა სტატისტიკა


დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2021 წლის 9 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოში სულ ჩატარებულია 641,242 აცრა, 197,118 ადამიანი - ორჯერედაა აცრილი. ნიუ იორკ თაიმსის მონაცემებით, საქართველოში 7 აგვისტოს მდგომარეობით, სულ 606,988 დოზის ადმინისტრირება მოხდა. სულ აცრილია მოსახლეობის 11%, სრულად (ორი დოზით) კი აცრილია მოსახლეობის 4%, რაც ნიშნავს, რომ ყოველ 100 ადამიანზე 16 დოზაა ადმინისტრირებული.



	Doses administered		Pct. of population	
	▼ Per 100 people	Total	Vaccinated	Fully vaccinated
<b>World</b>	<b>57</b>	4,398,284,025	-	-
Georgia	16	606,988	11%	5.1%


## ვაქცინირებულთა რაოდენობა წილობრივი მოცვა4

● At least one dose ● Fully vaccinated




ყოველ 100 ადამიანზე ადმინისტრირებული დოზების მიხედვით საქართველო, იმავე შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის შუალედურ პოზიციას იკავებს. შედარებისათვის, ამ კატეგორიაშია სომხეთი, რომელშიც 100 ადამიანზე 5.8 დოზის ადმინისტრირება მოხდა, ბელარუსში - 25, ალბანეთში - 27, ჩრდილოეთ მაკედონიაში კი ყოველ 100 მოსახლეზე 45 დოზის.

47 აგვისტოს მონაცემებით: <https://www.nytimes.com/interactive/2021/world/covid-vaccinations-tracker.html>



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, 4 აგვისტოს ჩათვლით მდგომარეობით აცრილთა რაოდენობა რეგიონებში შემდეგნაირად ნაწილდება:

1 დოზით და სრულად აცრილთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით



აგრებისა და ჯავშნების 58% თბილისზე მოდის.

2021 წლის ივნისში ასტრაზენეკას დოზების დეფიციტი შეიქმნა, რის გამოც ერთჯერადად ვაქცინირებულმა პირებმა ვერ მოახერხეს მეორე დოზის შესაბამის დროს მიღება. საკითხის მოკვლევა დაიწყო ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალურმა ჯგუფმა, ასევე პროცესის მიმდინარეობით დაინტერესდა აუდიტის სამსახურიც. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფორმაციით, ვაქცინების დანაკარგები 15 მარტიდან 4 აგვისტოს ჩათვლით ჯამურად 3,159 დოზას შეადგენს, საიდანაც ყველაზე მეტი, 2,551 სწორედ ასტრაზენეკას დასახელების ვაქცინაა. სრული ჩამონათვალი კი ასე გამოიყურება:

<b>ვაქცინის დანაკარგი</b>				
<b>რეგიონი</b>	<b>15 მარტი - 04 აგვისტო</b>			
	<b>სულ</b>	<b>სინოფარმი</b>	<b>ასტრაზენეკა</b>	<b>ფაიზერი</b>
<b>აჭარა</b>	<b>246</b>	<b>13</b>	<b>218</b>	<b>15</b>
<b>გურია</b>	<b>156</b>	<b>22</b>	<b>134</b>	<b>-</b>
<b>თბილისი</b>	<b>1,675</b>	<b>306</b>	<b>1,298</b>	<b>71</b>
<b>იმერეთი</b>	<b>359</b>	<b>60</b>	<b>253</b>	<b>46</b>
<b>კახეთი</b>	<b>161</b>	<b>9</b>	<b>145</b>	<b>7</b>
<b>მცხეთა-მთიანეთი</b>	<b>171</b>	<b>8</b>	<b>161</b>	<b>2</b>
<b>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</b>	<b>59</b>	<b>2</b>	<b>54</b>	<b>3</b>
<b>სამეგრელო და ზემო სვანეთი</b>	<b>30</b>	<b>10</b>	<b>20</b>	<b>-</b>
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>	<b>63</b>	<b>5</b>	<b>50</b>	<b>8</b>
<b>ქვემო ქართლი</b>	<b>188</b>	<b>3</b>	<b>175</b>	<b>10</b>
<b>შიდა ქართლი</b>	<b>51</b>	<b>1</b>	<b>43</b>	<b>7</b>
<b>სულ</b>	<b>3,159</b>	<b>439</b>	<b>2,551</b>	<b>169</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჯამურად დანაკარგი 3,159 დოზას შეადგენს, აქედან 169 დოზა ფაიზერის ვაქცინაა. ყველაზე მეტი დანაკარგი თბილისში ფიქსირდება, შემდგომ კი იმერეთსა და აჭარაში.

რაც შეეხება ვაქცინირებულთა პროცენტულ გადანაწილებას, 4 აგვისტოს მონაცემებით, სრულად აცრილი იყო სრული მოსახლეობის მხოლოდ 4.8%, მინიმუმ ერთი დოზით კი 10.4%. ასაკობრივი ჯგუფების კუთხით, 18 წელს ზევით მოსახლეობის 13.5% ერთი დოზით მაინცაა აცრილი, 6.2% კი - სრულად. ეს მონაცემები ვაქცინაციის ეროვნული გეგმით გაწერილ სამიზნე რაოდენობასთან (>18 ასაკის მოსახლეობის 60%) მიმართებით ერთი დოზის შემთხვევაში 22.6%-ს შეადგენს, სრულად ვაქცინირებულთა შემთხვევაში კი 10.4%-ს.


<b>მინიმუმ ერთი დოზით აცრილები</b>	<b>386,614</b>
<b>მეორე დოზით აცრილები</b>	<b>178,077</b>
<b>სულ ჩატარებული აცრები</b>	<b>564,691</b>
<b>მოსახლეობის მოცვა მინიმუმ 1 დოზა ვაქცინით</b>	<b>10.40%</b>
<b>&gt;18 ასაკის მოსახლეობის მოცვა მინიმუმ 1 დოზა აცრით</b>	<b>13.50%</b>
<b>&gt;18 ასაკის მოსახლეობის სამიზნე რაოდენობის (60%) მოცვა მინიმუმ 1 დოზა აცრით</b>	<b>22.60%</b>
<b>მოსახლეობის მოცვა 2 დოზა ვაქცინით</b>	<b>4.80%</b>
<b>&gt;18 ასაკის მოსახლეობის მოცვა 2 დოზა აცრით</b>	<b>6.20%</b>
<b>&gt;18 ასაკის მოსახლეობის სამიზნე რაოდენობის (60%) მოცვა 2 დოზა აცრით</b>	<b>10.40%</b>

ვაქცინაციის ეროვნული გეგმით გათვალისწინებული იყო პრიორიტეტული ჯგუფები, მათ შორის პირველ ეტაპზე, უნდა მომხდარიყო სამედიცინო პერსონალის 65% (46 520 მუშაკი) და 75 წლისა და ზემოთ ასაკის მოქალაქეების 60%-ის (136 080 მოქალაქე) აცრა, მეორე ეტაპზე კი 65-74 წლის ასაკის მოქალაქეების (197 510) ვაქცინაცია.


8 აგვისტოს მონაცემებით, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ აღნიშნულ პრიორიტეტულ ჯგუფებშია. კერძოდ ჯანდაცვის სექტორში, ექიმების, ექთნებისა და სექტორის სხვა პერსონალს შორის ჯამურად 17,200 პირია აცრილი, საიდანაც მხოლოდ 6,443 პირს აქვს მიღებული ორი დოზა, აქედან ექიმია 3,751, ხოლო 645 ექთანი. ერთი დოზით აცრილი სამედიცინო პერსონალის რაოდენობა 11,569 აღამიანია. **არსებული მონაცემებით, 5 თვის განმავლობაში, 15 მარტიდან დღემდე მიზნობრივი 46,520 სამედიცინო მუშაკის მხოლოდ 36%-ია აცრილი.**

ასევე, აცრის დაბალი მაჩვენებელი აღინიშნება სკოლის პერსონალში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კი ყველაზე მეტი აცრილი 18 წელს ზემოთ კატეგორიაშია. სამწუხაროდ, ოფიციალური სტატისტიკის ვებგვერდზე არ არის გამოყოფილი 18 წელს ზემოთ კატეგორიაში შემავალი ქრონიკული დაავადებების მქონე პირების რაოდენობა, 75 წელს ზემოთ მოქალაქეებსა და ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებების ბენეფიციარებს შორის ვაქცინირებულთა რაოდენობა. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ჯგუფი, ვაქცინაციის ეროვნული გეგმის თანახმად, პრიორიტეტულ ჯგუფებადაა მიჩნეული.

## COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, პრიორიტეტული ჯგუფები, 15 მარტი - 8 აგვისტო, 2021



დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფორმაციაზე დაყრდნობით, აცრების დინამიკამ ივლისსა და აგვისტოში საგრძნობლად იმატა, რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია ხელმისაწვდომი ვაქცინების რაოდენობის ზრდასთან.



## ვაქცინაციის ხარჯები

საქართველოში კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციის პროცესი 2021 წლის 15 მარტს დაიწყო. ქვეყანამ 13 მარტს ასტრაზენეკას 43,200 დოზა ვაქცინა მიიღო, რომელიც თავდაპირველად ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სამედიცინო პერსონალისათვის. 6 მაისს ქვეყანაში ამავე ვაქცინის 43,000 დოზა შემოვიდა. 24 მარტს შემოვიდა ფაიზერის 29,250 დოზა. 30 აპრილს საქართველომ სინოფარმის ვაქცინის 100,000 დოზა მიიღო, რომელთან ერთადაც უფასოდ გადმოგვცა სინოვაკის 100,000 დოზაც. ჯანდაცვის სამინისტროს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 26 მაისს ქვეყანამ დამატებით მიიღო 1,170 დოზა ფაიზერის ვაქცინა. 13 ივლისს დამატებით მივიღეთ 28,000 დოზა ფაიზერი, 24 ივლისს კი იმავე წარმოების ნახევარი მილიონი დოზა საქართველომ ამერიკის შეერთებული შტატებისგან უფასოდ მიიღო. 2 ივლისს სინოფარმისა და სინოვაკის 1 მილიონი დოზა შემოვიდა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყანაში ამ დრომდე შემდეგი რაოდენობის ვაქცინებია შემოსული:<sup>5</sup>

## ინფორმაცია საქართველოში შემოსული ვაქცინების შესახებ

აგვისტო 5, 2021

საქართველოში 15 მარტიდან შემოსული ვაქცინების რაოდენობა:

1. კვაიბერი – 589 680
2. ასტრაზენეკა – 149 600
3. სინოფარმი – 600 000
4. სინოვაკი – 1 100 000

აღნიშნული მონაცემებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 5 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოში ჯამურად 2,439,280 დოზა კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინა შემოვიდა, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ 645,000-მდე დოზის ადმინისტრირება მოხდა. ამ ეტაპზე, ვაქცინაციის დაჯავშნის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია 125,600 დოზა. არსებული რაოდენობის ვაქცინის სრულად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იყო 1,219,640 ადამიანის ოჯერადად აცრა.

IDFI-მ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია ვაქცინების ფასებთან დაკავშირებით, ასევე ნებისმიერი მიმოწერა ვაქცინების შესყიდვის პროცესთან მიმართებით. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს მიერ ვაქცინების გლობალურ ალიანსთან და მწარმოებელ კომპანიებთან გაფორმებული აქვს კონფიდენციალურობის შეთანხმება, რის გამოც ფასების გასაჯაროება შეუძლებელია. მწარმოებელ კომპანიებთან კომუნიკაციის დოკუმენტაცია კი წარმოადგენს მათ კომერციულ საიდუმლოს. IDFI-მ მიმართა სამართლებრივ მექანიზმებს და სასამართლოს გზით გეგმავს მოიპოვოს აღნიშნული ინფორმაცია.

<sup>5</sup> <https://vaccines.ncdc.ge/news/inphormatsia-sakharthveloshi-shemosuli-vakhtsinebis-sheesakheb/>



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,

Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030183377008321

საქართველო, თბილისი 0119, აკნაფრეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge  
144 Ak. Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/6919

14 / მაისი / 2021 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების  
ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს  
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2021 წლის 4 მაისს შემოსული თქვენი NFO10421-039 28.04.21 განცხადების პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

COVAX პლატფორმის ფარგლებში 13 მარტს შემოვიდა ასტრაზენეკას წარმოების 43200 ვაქცინა, 24 მარტს ფაიზერის წარმოების 29250 ვაქცინა, 3 აპრილს ქვეყანამ მიიღო ჩინური წარმოების სინოფარმის 100,000 დოზა ვაქცინა, ხოლო 30 აპრილს დონაციის სახით სინოფარმის 100,000 დოზა. 6 მაისს ქვეყანამ კვლავ მიიღო 43,000 დოზა ასტრაზენეკას ვაქცინა COVAX პლატფორმის ფარგლებში, მაისის ბოლოს დაგეგმილია ამდენივე ასტრაზენეკას წარმოების ვაქცინის მიღება. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა მწარმოებელთან და ევროკავშირის ქვეყნებთან ვაქცინების დამატებითი დოზების მიღებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება, ვაქცინების ფასებს, გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ვაქცინების გლობალურ ალიანსთან და მწარმოებელ კომპანიებთან გაფორმებული აქვს ე.წ. "confidentiality agreement". მწარმოებელ კომპანიებთან კომუნიკაციის დოკუმენტაცია წარმოადგენს მათ კომერციულ საიდუმლოს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში [“საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19 გავრცელებისა და მასზე ფისკალური პოლიტიკის პასუხის”](#) ნაწილში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მთავრობასა და ვაქცინების გლობალურ ალიანსს (GAVI ALLIANCE) შორის გაფორმებული შეთანხმების (COMMITMENT AGREEMENT) თაობაზე, საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად COVID-19-ის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მიმართულ იქნა 16.7 მლნ ლარზე მეტი, ამასთან, ცნობილია, რომ უშუალოდ მწარმოებელთან მოლაპარაკების საფუძველზე საქართველომ შეიძინა ფაიზერის ვაქცინა. ქვეყანამ რამდენიმე ქვეყნისგან უსასყიდლოდ მიიღო სხვადასხვა წარმოების ვაქცინებიც. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული 2021 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის [დანართში](#) “საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19 გავრცელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ



ინფორმაცია” მითითებულია, რომ Covid-19-ის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობისათვის მხოლოდ 2021 წლის პირველ 6 თვეში დახარჯულია 95.7 მლნ ლარი. დოკუმენტის თანახმად, საანგარიშო პერიოდში შესყიდულია 2,260.4 ათასამდე დოზა ვაქცინა, ხოლო ფიზიკურად ქვეყანაში შემოვიდა 316.8 ათასი დოზა (მათ შორის, 100.0 ათასი დონაციის სახით).

## ვაქცინაციის პროცესის სტრატეგიული კომუნიკაცია

ვაქცინაციის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული კომუნიკაციისათვის ჯანდაცვის სამინისტრომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით Covid-19-ზე სწრაფი რეაგირების პროექტის ფარგლებში 2021 წლის 10 მარტს გამოაცხადა ინტერესთა გამოსატყა საკომუნიკაციო კომპანიის დაქირავების მიზნით. აქტივობა ემსახურება Covid-19-ს ვაქცინაციის დანერგვის ეროვნული გეგმის ნაწილის განხორციელებას. კომუნიკაციის კამპანია რამდენიმე მიზანს მოიცავს, მათ შორის საქართველოს მთავრობის მოქმედი და პოტენციური პარტნიორებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის კოვიდთან ბრძოლის ოპერაციებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფასა და მოსახლეობის ინფორმირებას, საქართველოს მთავრობის მიერ კოვიდის პრევენციის, აღმოფხვრისა და საპასუხო ღონისძიებების შესახებ.

იქიდან გამომდინარე, რომ ინტერესთა გამოსატყვის შესახებ ინფორმაცია ელექტრონულ სისტემაში არ იყო ატვირთული და უბრალოდ განთავსებული იყო შესყიდვების ვებგვერდზე, უცნობია, მოხდა თუ არა რომელიმე კომპანიის შერჩევა, რამდენმა კომპანიამ გამოთქვა კამპანიის განხორციელების სურვილი და რა დირექტორების კონტრაქტი გაფორმდა. ამ ეტაპზე, შესყიდვების ვებგვერდზე ფასთა გამოკითხვის დოკუმენტაციაც ხელმიუწვდომელია. აღსანიშნავია, რომ იგივე ინფორმაცია IDFI-მ სამინისტროდანაც გამოითხოვა, თუმცა პასუხი არ მიუღია.

შესაბამისად, ვერ ვიღებთ ინფორმაციას, თუ რა სახის საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს მთავრობა მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესით დაინტერესებისა და ინფორმირებისათვის. ცნობილია, რომ სწორედ აღნიშნული მიზნობრიობით შექმნილია ახალი ვებგვერდი [provax.ge](http://provax.ge) და იდენტური ფეისბუქ გვერდი, თუმცა სხვა სახის აქტივობებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

მნიშვნელოვანია, რომ „აშშ-ის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) ახალი [კვლევის მიხედვით](#), რომელიც 2021 წლის ივლისში ჩატარდა, მოსახლეობის 47% აცხადებს, რომ Covid საწინააღმდეგო ვაქცინით არ აიცრება, მოსახლეობის 56%-მა არ იცის, როგორ დარეგისტრირდეს ვაქცინაციის ონლაინ პლატფორმაზე. ეს რიცხვი განსაკუთრებით მაღალია სოფლებში, სადაც გამოკითხულთა მხოლოდ 27%-მა იცის საჭიროების შემთხვევაში ვაქცინაციის ვიზიტი როგორ დაჯავშნოს, 71%-მა კი არა.

## დასკვნა

IDFI-ის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ვაქცინაციის პროცესის შესახებ საკმარისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. ოფიციალური დოკუმენტების გამოთხოვის შედეგადაც რთულდება გავიგოთ, თუ რა მოლაპარაკებებს აწარმოებს საქართველო ვაქცინაციის პროცესის შეუფერხებლად გაგრძელებისათვის, უცნობია რა თანხას ვიხდით ვაქცინებში. მიუხედავად ბოლო პერიოდის ვაქცინაციის დინამიკის ზრდისა, ნათელია, რომ ქვეყანაში შემოსული დოზების დროული და ეფექტური ადმინისტრირება ვერ მოხერხდა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მიღებული 2 მილიონზე მეტი დოზიდან ამ ეტაპზე გამოყენებულია მხოლოდ 645 ათასი დოზა. ამასთან, მიზნად დასახული 18 წელს ზევით ასაკის მოსახლეობის სამიზნე რაოდენობის (60%) მოცვა 2-ჯერადი აცრით მხოლოდ 10.4%-ს შეადგენს. ამასთან, **არსებული მონაცემებით, 5 თვის განმავლობაში, 15 მარტიდან დღემდე ვაქცინაციის ეროვნული გეგმით გათვალისწინებული მიზნობრივი 46,520 სამედიცინო მუშაკის მხოლოდ 36%-ია აცრილი.**

აღნიშნულის პარალელურად ქვეყანას აქვს ვაქცინების დანაკარგიც. NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით კი, გამოკითხული მოსახლეობის 47% აცრას არ აპირებს, 56%-მა პროცენტმა კი არ იცის, როგორ დარეგისტრირდეს ვაქცინაციის პლატფორმაზე. ამის ფონზე, ვერ ვიღებთ ინფორმაციას, თუ რა სახის საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს მთავრობა მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესით დაინტერესებისა და ინფორმირებისათვის, რომელი კომპანია ასრულებს ამ მოვალეობას, რა თანხები იხარჯება და რა არხებით ხდება მოსახლეობის დარწმუნება ვაქცინაციის საჭიროებაში. ცნობილია, რომ სწორედ აღნიშნული მიზნობრიობით შექმნილია ახალი ვებგვერდი [provax.ge](http://provax.ge) და იდენტური ფეისბუქ გვერდი, თუმცა სხვა სახის აქტივობებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ვაქცინის შეძენის მიზნით წარმოებული მოლაპარაკებების ამსახველი მიმოწერის ასლების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ 2020 წლის 25 დეკემბერს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი საქართველოს მხრიდან კოვაქს პლატფორმიდან ვაქცინის შესყიდვა. 2021 წლის 8 იანვრის წერილით კი ჩანს, რომ ამ დროს მიიღეს გადაწყვეტილება შესყიდვა განხორციელებულიყო UNICEF-ის ჩართულობით, რადგან არ არსებობდა მწარმოებლებთან კომუნიკაციის საკმარისი გამოცდილება. სამწუხაროდ, ჯანდაცვის სამინისტრომ მსგავსი შინაარსის მიმოწერის შესახებ ინფორმაცია არ მოგვაწოდა. შესაბამისად, რთულდება დადგენა, თუ როდის დაიწყო მოლაპარაკებების პროცესი, დაგვიანდა თუ არა ვაქცინის შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება და იყო თუ არა აღნიშნული პრობლემა დაგვიანებული ვაქცინაციის მიზეზი.

IDFI-მ ჯანდაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ვერ მიღების შემთხვევებზე მიმართა სასამართლოს და შეეცდება ამ გზით მოიპოვოს შესაბამისი მონაცემები. IDFI მოუწოდებს სამინისტროს, გაითვალისწინოს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი პანდემიასთან ბრძოლისა და ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებით და თავად უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა როგორც პროაქტიულად, ისე მოთხოვნის საფუძველზე.



თ. შავჩენკოს ქ. №20, 0180 თბილისი



+ 995 32 292 15 14



INFO@IDFI.GE



WWW.IDFI.GE